



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ხ ო ნ ი  
მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს სა კ რ ე ბ უ ლ ო ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 I

28/01/2020

**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 26-ე მუხლის პირველი პუნქტის , 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის , ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 52-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

**მუხლი 1.** 2020 წლის 29 იანვარს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი **დღის წესრიგით**:

1. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული საკონპენსაციო ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

**მომხსენებელი: არსენ ბენდელიანი - საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე**

2. ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ხონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ოქტომბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**მომხსენებელი: ალიკო ვეკუა - საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.**

3. „ხონის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის N106 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**მომხსენებელი: ლევანი ჩიხლაძე - მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი.**

**მუხლი 2.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე

საკრებულოს თავმჯდომარე